პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 თებერვალი, კვირა, 1989 წ.
№ 40 (9959) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვლადიმერ დგებუაძე

უშიშარი დებიუტანტი

ასპარეზობის მეორე და მესამე დღეს ტურნირის მასპინძლებმა სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს

ენგურ გოგიჩაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ დგებუაძემ ხუთი შეხვედრა ჩაატარა თბილისის სპორტის სასახლის ტატამზე, რომელთაგან ოთხი წმინდად მოიგო და 71 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაისაკუთრა. ეს შედეგი უკვე თავისთავად დიდ წარმატებად შეიძლება ჩაეთვალოთ ახალგაზრდა სოხუმელ ათლეტს, რომელსაც წლეულს ოქტომბერში 19 წელი შეუსრულდება. მაგრამ დგებუაძემ სხვა მხრივაც დაგვამახსოვრა თავი და ეს არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მის მიერ ჩატარებული ხუთი ბრძოლიდან არც ერთი არ ჰგავდა მეორეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა მოჭიდავე ტექნიკური ილეთების საკმაოდ სოლიდურ მარაგს ფლობს.

პირველ შეხვედრაში ახატ ამიროვთან წმინდა გამარჯვებას მან ლამაზი გდებით მიაღწია. ალექსანდრე ზახარკინთან იუჯოს აგება, მაგრამ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე ხელსაყრელი შემენტი შეარჩია და წმინდად გაიმარჯვა.

მონგოლმა არტაგ ბუიანყარვალმა ეს ყველაფერი თავისი თვალით ნახა და დარწმუნდა, რომ ქართველ ფალავანთან უადრესად ფრთხილი ბრძოლა იყო საჭირო. ორი წუთი იგი გაურბოდა გართულებებს და მხოლოდ აქტიურობის იმიტაციას ქმნიდა, მაგრამ მესამე წუთის მეწურულს მაინც გაეგებ მახეში. ლამაზმა მოგვერდმა ლოგიკური წერტილი დაუსვა ამ ორთაბრძოლას.

ამასობაში მეორე ჯგუფიდან ფინალისაკენ გზა გაეკვლია ფიზიკურად საკმაოდ ძლიერმა ფრანგმა პასკალ ბოსომ, რომელსაც წინასწარ შეხვედრებში პრობლემები არ ჰქონია. დგებუაძისა და ბოსოს გადამწყვეტი ბრძოლა ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ რაოდენ დიდ უპირატესობას აძლევს ქიუდოისტს ქართული ჭიდაობის ილეთების ცოდნა. ბოსო სხვებისგან განსხვავებით აქტიურად მოქმედებდა, ფეხებშიც ხშირად შედიოდა და გამუდმებული შეტევებით მეტოქის წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობდა. ერთი შეხედვით, მან თითქოს მიაღწია კიდეც მიზანს.

იხ. მე-4 გვ.



მინი ფეხბურთის დღესასწაული თბილისში

ამ ტურნირს მოუთმენლად მოელიან ფეხბურთის გულშემატკივრები — 5-11 მარტს თბილისი მინიფეხბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. შეჯიბრება ტარდება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით.

ვის ვიხილავთ ჩვენი სპორტის სასახლის არენაზე? ძალიან ბევრ საფეხბურთო ქვეყანას და, სწორედ ამიტომ, შეიძლება თამამად ითქვას, ეს ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატებს უტოლდება. უცხოეთიდან თბილისში ჩამოსვლისა და ასპარეზობის სურვილი გამოთქვეს იტალიის (პალერმო), ესპანეთის (ბილბაო), გფრ-ის (ზაარბრიუკენი), ავსტრიის (ინსბრუკი), იუგოსლავიის (ლიუბლიანა), პოლონეთის (პოზნანი), ბულგარეთის (სოფია) გუნდებმა, მათ გარდა ტურნირში გამოვლენ მოსკოვის, კიევის, ერევნის, ბაქოს, სოხუმის, ბათუმისა და, რაღა თქმა უნდა, თბილისის ფეხბურთელები.

მაგრამ ეს მხოლოდ ფეხბურთის ლამაზი დღესასწაული როდი იქნება, ტურნირს დაამშვენებს კულტურული ღონისძიებები, გათამაშდება ლატარეა, პრიზები. ბილეთები კი... ბილეთები, როგორც ეს დიდი სპორტულ ზეიმს შეშვენის, წინასწარ იყიდება თბილისის სპორტის სასახლის სალაროებში. გვერწმუნეთ, ტურნირის დღეებში ნამდვილად გაჭირდება ბილეთების შოვნა. ცხადია, უმჯობესია, წინასწარ დაიჭიროთ თადარიგი.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ხამშაბათს, 28 თებერვალს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი და სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში (ლენინის, 14) ატარებენ პრეს-კონფერენციას, რომელიც მიეძღვნება მინიფეხბურთში თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დასაწყისი 14 საათზე.

საღ ითამაშებენ ჩვენი კალათბურთელები?

გუშინ ბევრმა დარეკა ჩვენს რედაქციაში — კალათბურთის გულშემატკივრები გვთხოვენ ვაცნობოთ თუ სად, რომელ სპორტულ ბაზაზე ჩაატარებენ შინ თბილისის დინამოელები 27-28 თებერვლის მატჩებს კაუნასის „უალგირისთან“.

რედაქცია დაუკავშირთა სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს კალათბურთში რ. ხომერიკს, რომელმაც გვაცნობა, რომ 27-28 თებერვლის ორივე შეხვედრა ჩატარდება ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ციროვის პარკი).

ახალგაზრდული შემადგენლობების მატჩი ორივე დღეს დაიწყება 18 საათზე, ძირითადი შემადგენლობისა — 20 საათზე.

ქართველი აფროსნელები — დედამიწის გარშემო! როდის, როგორ? იკითხავს გაოცებული მკითხველი



იხ. მე-2 გვ.



ოსტატი და შეგირდი, მამა და შვილი სანეევები: უფროსს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს წარდგენა არ სჭირდება, უმცროსს კი, ანდროს, რომელიც ახლა იწყებს ხარბიელზე გამოსვლას, ჯერჯერობით მხოლოდ ასპარეზობის მონაწილეები იცნობენ.

დასაწყისი ყოველთვის კარგია

ნორჩ მძლეოსანთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებს რომ უყურებ, გიძნელდება იმის დაჯერება, რომ „მაღლა“, უფროსებში, ასე ცუდად გვაქვს საქმე. მოსწავლეთა შეჯიბრებები მუდამ ხალხმრავალია და სპორტსმენთა ამ დიდ მასაში დაკვირვებული თვალი ბევრ კარგ მონაცემების სპორტსმენსაც შენიშნავს. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველ ეტაპზე, ჯგუფების დაკომპლექტების დროს მწვრთნელებს პრობლემები პრაქტიკულად არა აქვთ, ბევრი მოზარდი ხალისით იწყებს ვარჯიშს. თუმცა, საბოლოო შედეგები, უკვე მოგახსენეთ, მკვეთრად სცილდება სასურველს.

სწორედ ასე, მონაწილეთა დიდი რიცხვით და ხალისიანად ჩატარდა თბილისის პირველობა მძლეოსნობაში 1972-1975 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებას, რომელსაც უძღვებოდა ქალაქის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის სკოლა (მთავარი მსაჯი მამია ტუღუში), საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლემ უმასპინძლა.

მართალია, თბილისის რაიონების გუნდების ძალა მძლეოსნობაში მეტად არათანაბარია (ამას განაპირობებს ბაზების რაოდენობა, სპორტსკოლების ყოფნა-არყოფნა, მათი სიდიდე და ა. შ.), მაგრამ ისიც არ არის ურიგო, რომ ათვე რაიონმა გამოიყვანა მძლეოსნები.

ტრადიციულად, ძალზე ბევრ მონაწილე იყო სპრინტერულ დისტანციებზე. მაგალითად 60 მეტრზე რბენაში 49 ჭაბუკმა მიიღო

იხ. მე-2 გვ.

სამომავლო დიდ საქმეზე „გადაჭრით რაიმეს თქმას“, მოგეხსენებათ, ყველა ვერიდებით. რა ვქნათ, ყველანი მეტნაკლებად ცრუმორწმუნეები ვართ (ვის არ უთქვამს, „თვალი არ ეცესო“) და ისიც კარგად ვიცით, წინასწარ „ჭიკჭიკი“ და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი არც მიღებულია, არც გამართლებული. მაგრამ ეს არაფერი: აბა, სცადეთ და სანაოსნოდ გამზადებულ აფროსანს სთხოვეთ, მოდი ერთი, დალაგებით მომიყევი რას და როგორ აპირებთ. გარწმუნებთ, ბევრს ვერაფეს გამორჩებით. საწყენი აქ, რა თქმა უნდა, არაფერია — ზღვაოსანს ხომ სიტყვაძუნწობის სხვებზე „საპატიო მიზეზი“ აქვს—ვინ იცის, როდის შემოსწყრება და სად უმუხთლებს პოსეიდონი? ამიტომ მოდით, პატივი ვცეთ ამ ძველ წესს, დავემორჩილოთ მეზღვაურთა დაუწერელ კანონს და ჯერჯერობით წინასწარი ინფორმაცია ვიკმაროთ. მერე კი, როცა სამზადისი გასრულდება და სტარტის დღე მოახლოვდება, სალაპარაკოს რა გამოგვილევს — თემა ისეთია, ცოტა ხნის წინათ ოცნებაც არ შეგვეძლო:

ქართველი აფროსნები—დედამიწის გარშემო

სიახლე ხომ არაფერია? — იმ დღეს ვალის მოხდის მიზნით უფრო დაძცდა ეს შეკითხვა. „ფანჯარას“ რომ უწოდებენ, ისეთი პერიოდი იყო, ახალი რა უნდა მომხდარიყო.

სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა აფროსნობაში თამაზ ზოიძემ ქაღალდების თხელი შეკვრა გამომიწოდა. შორიდანვე ეტყობოდა, „სერიოზული“ საბუთი იყო.

„საბჭოთა აფრიანი ნავი — დედამიწის გარშემო. პროგრამის პროექტი“ — ეწერა თავფურცელზე.

გულმა რეჩხი მიყო.

— ჩვენებიც? — სუნთქვაშეკრულმა ვიკითხე.

— მაშ!

— ვინ? როგორ? საიდან?

— მოიცა, ყველაფერს ერთად ხომ ვერ გეტყვი. ცალ-ცალკე გიპასუხებ. ერთ რამეზე ახლავე შევთანხმდეთ: მომავალ ნაოსნობაზე ბევრს რომ არ ლაპარაკობენ და ასპროცენტიან გარანტიას არ იძლევიან, შენც კარგად იცი, შით უმეტეს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია; ასე რომ... ერთი სიტყვით, პერსპექტივა ასეთია: საბჭოთა აფრიანი ნავის ეკიპაჟი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ და პრესტიჟულ რბოლაში დედამიწის გარშემო. ეს შეჯიბრება ტარდება ოთხ წელიწადში ერთხელ. ყველა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ეს არის უაღრესად პოპულარული რბოლა, აქვს უდიდესი სარეკლამო და კომერციული მნიშვნელობა — უცხოური ფირმები ყველა სანავიგაციო სიახლესა და მიღწევას სწორედ ამ რბოლებში წარმოადგენენ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის სპორტის მოყვარულებს დღემდე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რაოდენ პოპულარული იყო ეს შეჯიბრება, რომელშიც სიამოვნებით გამოდიან საქვეყნოდ ცნობილი პროფესიონალი აფროსნებიც.

მცირე ექსკურსი: შეჯიბრების სრული ინგლისური სახელწოდებაა „უითბრიდ რაუნდ ზე უორლდ რეის“ (შემოკლებით „უითბრიდ“). პირველი რბოლა მოეწყო 1973 წელს — დედამიწის გარშემო სანაოსნოდ გაემართა 16 ნავი; ეკიპაჟებს, რომელთაც 27000 მილი უნდა გაეცურათ, მხოლოდ სამ ნავსადგურში შესვლის უფლება ჰქონდათ. რბოლა პირველმა დაასრულა ინგლისური ნავის „დიდი ბრიტანეთი 2“-ის ეკიპაჟმა, რომელმაც ეს მანძილი 144 სარბოლო დღეში დაფარა. მომდევნო წლებში ეს ტრადიციული რბოლა გადაიქცა საიალქნო სპორტის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში და ამჟამად პოპულარობით უტოლდება ოლიმპიურ რეგატას.

თუ პირველი შეჯიბრება, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი საკრეისერო ნავების რბოლისაგან (სტარტზე გამოვიდნენ სხვადასხვა ტიპის ნავები, რომელთაც არათანაბარი კვალიფიკაციის ეკიპაჟები მართავდნენ), დღეისათვის სხვა სურათია: საგანგებოდ ამ რბოლისათვის პროექტდება და შენდება ნავები, რომელთა შესაქმნელად ერთობლივად ირჯებიან კონსტრუქტორები, მათემატიკოსები, ჰიდროდინამიკოსები, მეტეოროლოგები და სხვა სპეციალისტები. მათი საქმიანობა ეფუძნება მეცნიერების, ტექნიკისა და უმაღლესი ტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს. ეკიპაჟთა უმეტესობა კომპლექტდება უმაღლესი კვალიფიკაციის აფროსნებით. ბევრ ქვეყანაში, არა თუ გამარჯვებას, ამ შეჯიბრებაში მონაწილეობასაც კი ეროვნული პრესტიჟის საქმედ მიიჩნევენ.

მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, წლევანდელ, მეხუთე შეჯიბრებაში, რომელშიც მრავალი ქვეყნის ჯვ საუკეთესო აფრიანი ნავი გამოვა, პირველად იახპარეზებს საბჭოთა ეკიპაჟი.

— როდის და როგორ დაიძრა უითბრიდში საბჭოთა ეკიპაჟის დებიუტის საქმე, ვინ იყო თაოსანი?

— უპირველეს ყოვლისა, ბედნიერ გარემოებათა დამთხვევას უნდა ვუმადლოდეთ. უითბრიდში მონაწილეობა ყველა საბჭოთა აფროსნის დიდი ხნის ოცნება იყო. და აი, დადგა დრო, როცა შესაძლებელი გახდა ამ ნატვრის ასრულება. ჩემი ახსნა-განმარტება, რა თქმა უნდა, ზედმეტია — გარდაქმნა რომ არა, ეს ოცნება ოცნებადვე დარჩებოდა. დიდი ხნის ნაოცნებარს, ცხადია, ქომაგიც შნოიანი სჭირდებოდა — ყველა უწყება და ორგანიზაცია როდი შესძლებს იტვირთოს ამხელა საქმე, ამას მხოლოდ თანამედროვე ყაიდის, „გარდაქმნის პირმშოს“ რომ უწოდებენ, ისეთი საწარმო-ორგანიზაცია თუ შესძლებს. სწორედ ასეთია ერთობლივი ფირმა „ფაზის სპ“-ფოთის ტერიტორიულ- დარგთაშორისი გაერთიანებისა და დასავლეთგერმანული ფირმის „ვილდრედ პოსტის“ „ტანდემი“, რომელმაც შარშანდლიდან დაიწყო უითბრიდში საბჭოთა ეკიპაჟის მონაწილეობის პროექტის დამუშავება და დაფინანსება.

— ნავი სად შენდება?

— ფოთში, გემთმშენებელ ქარხანაში, პროექტიც ჩვენთან, საბჭოთა კავშირში დამუშავდა. მისი პარამეტრები ასეთია: სიგრძე — 25 მეტრამდე, სიგანე — ექვსამდე, წყალწყვა — 16 ტონა, აფრების ფართი — 260 კვადრატული მეტრი. ნავი აღიჭურვება ცნობილი ფირმების უახლესი სანავიგაციო მოწყობილობით და აპარატურით.

— ეს ყველაფერი კარგი, ახლა — ეკიპაჟზე... ერთი სული მაქვს გავიგო, ვინ იქნება ჩვენგან.

— სანაოსნოდ 15-17 საუკეთესო საბჭოთა აფროსანი შეირჩევა. საქართველოდან წარდგენილი ვართ ოთხნი — მე, ვლადიმერ ქიტუაშვილი, ჯუმბერ ცომაია და ნოდარ თენეიშვილი.

ჩვენი დოსიე: **თამაზ ზოიძე — საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი აფროსნობაში, სპორტის ოსტატი ნიჩბოსნობასა და აფროსნობაში. 25 წელია, რაც საიალქნო სპორტშია. მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატებში, რეგატებში და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში.**

ვლადიმერ ქიტუაშვილი — სპორტის ოსტატი, 20 წელია მისდევს აფროსნობას. მონაწილეობდა საკავშირო ჩემპიონატებში, რეგატებში და სპარტაკიადებში.

ჯუმბერ ცომაია — სპორტის ოსტატი, აქვს აფროსნობის 18 წლის გამოცდილება, მონაწილეობდა საკავშირო შეჯიბრებებში. ამჟამად ფოთის საიალქნო კლუბის დირექტორი და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია.

ნოდარ თენეიშვილი — პროფესიით მეზღვაურია — სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მსოფლიოში ყველაზე დიდი იალქნიანი გემის „სედოვის“ კაპიტნის თანაშემწედ. ამჟამად მსახურობს საქართველოს საზღვაო სანაოსნოში.

— როდის დაიწყება რბოლა, სად მიეცემა სტარტი?

— 2 სექტემბერს, ინგლისის ქალაქ პორტსმუტში. მარშრუტი ასეთია: პორტსმუტი-პუენტო-დელ-ესტე (არგენტინა)-ფრომანტლი (ავსტრალია)-ოკლენდი (ახალი ზელანდია)-ისევ პუენტო-დელ-ესტე — ფორტ-ლოდერდეილი (აშშ)-პორტსმუტი.

— ეს მანძილი, ვგონებ, პირვანდელზე მეტია.

— დიახ, ხუთი ათასამდე მილით მეტი.

— როგორ შევიტყობთ თქვენს ამბებს?

— აკი ვთქვი, ეს რბოლა უაღრესად პოპულარულია მსოფლიოში, უდიდესი ტელეკომპანიები მის პერიპეტიებს დედამიწის ყველა კუთხეში გადასცემენ. სავარაუდოა, რომ ყურადღება არც ჩვენ მოგვაკლდება — რაც უნდა იყოს, საბჭოთა ეკიპაჟი პირველად მონაწილეობს ამ შეჯიბრებაში.

— რამდენ ხანს გასტანს რბოლა, შინ როდისთვის გელოდოთ?

— თითქმის წელიწადნახევარს, ასე რომ, საბჭოთა კავშირში 1990 წლის შეორე ნახევარში დავბრუნდებით. მაგრამ რა დროს ესაა, ახლა ამაზე ვინ ფიქრობს — ჯერ მხოლოდ სტარტის იმედით ვსულდგმულობთ.

ესაუბრა თამაზ მიგრიაული.

უნივერსიტეტი ერაყ-ბრაზილიის ბიჯ-ჯვრედინაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა გასული სპორტული სეზონი წარმატებით ჩაატარა — გახდა საქართველოს ჩემპიონი, გაიმარჯვა ლატვიაში გამართულ უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო ტურნირში და ჩეხოსლოვაკიის კარლის უნივერსიტეტის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩებში.



ახალი სეზონის სტარტიც იობლიანი გამოდგა უნივერსიტეტელთათვის. ამ დღეებში დამთავრდა თბილისის ჩემპიონატი, რომელმაც რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე გუნდები გამოავლინა. სხვათა შორის, წლეულს ეს ტურნირი ახლებურად, მიმოსვლის სისტემით მოეწყო. ამიტომ თბილისის ჩემპიონატისადმი ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა და საპრიზო ადგილებზე გასვლაც უფრო პრესტიჟული გახდა.

ქალაქის ჩემპიონის წოდება მოიპოვა უნივერსიტეტის გუნდმა, რომელშიც ყველა მეტოქე დაამარცხა. მეორე ადგილზე ერთი წაგებით გავიდა „მართველის“ (განათლების სამმართველო) კოლექტივი, რომელიც 1973-1975 წლებში დაბადებული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. მესამე საპრიზო ადგილი ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებს ხვდათ. ამ სამმა კოლექტივმა და მეოთხე ადგილზე გასულმა პედინსტიტუტის გუნდმა რესპუბლიკურ ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ელდარ კაპანაძე.

• • •

სურათზე: უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელთა ფინალური შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ДАСАВЧУИСИ ЧОВЕЛТВИС КАРГИА

(დასასრული)

მონაწილეობა, თუმცა ჯერ გოგონათა შედეგებზე გეტყვით; ძალზე კარგად გაირბინა ეს დისტანცია 15 წლის ელმირა კუტუევამ (საბურთალოს რაიონი) — 7,8. 200 მეტრზე რბენაში კი ერთბაშად სამმა გოგონამ შეასრულა პირველი თანრიგი. მათ შორის უძლიერესი იყო დიანა ხუბაშვილი (ლენინის რაიონი), რომელიც 1973 წელს არის დაბადებული — 25,2.

ჭაბუკთა შორის, პირველ რიგში, იგორ ვორონოვი (26 კომისრის რაიონი) უნდა გამოვარჩიოთ. იგი პირველობდა 60 მ რბენაში და სიგრძეზე ხტომაში და ორივეგან პირველი თანრიგის ნორმატივის შესატყვისი შედეგები აჩვენა — 6,8 და 7,11 მ. სტაბილური იყო 200 და 400 მეტრზე მორბენალთა მაჩვენებლებიც. 193-193 სმ. სიმაღლე დასძლიეს ალექსანდრე არიშინმა (საბურთალოს რაიონი) და სერგო გაფრინდაშვილმა (26 კომისრის) სიმაღლეზე ხტომაში. ესეც პირველი თანრიგია.

აღსანიშნავია, რომ წლევანდელი სეზონის მძლეოსანთა სხვა შეჯიბრებებისაგან განსხვავებით, საპატიო სიგელები და საერთო ტექნიკური დოკუმენტაცია ამჯერად ქართულ ენაზე იყო შევსებული.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა შედეგებს:

გოგოები. 60 მ. ელმირა კუტუევა — 7,8; **200 მ.** დიანა ხუბაშვილი — 25,2; **400 მ.** ანა იზმაილოვა (26 კომისრის რაიონი) — 1.00.1; **800 მ.** შახნენკო — 2.28,0; **1500 მ.** ქეთინო ბეზროდნაია (გლდანის რაიონი) — 5.36,6.

60 მ. თარჯრბენი. ტატიანა იუიუკინა (26 კომისრის რაიონი) — 9,5.

სიგრძეზე ხტომა. სვეტლანა დერევიანიკოვა (26 კომისრის რაიონი) — 5,17 მ. **სიმაღლეზე ხტომა.** ვიკა რუსაკოვა (1 მაისის რაიონი) — 160 სმ. **ბირთვი.** მარინა ონაშვილი (საბურთალოს რაიონი) — 9,71 მ.



გოგონები 60 მ. თარჯრბენში ახპარეზობისას.

ჭაბუკები. 60 მ. იგორ ვორონოვი — 6,8; **200 მ.** სერგო ერმილოვი (საბურთალოს რაიონი) — 23,7; **400 მ.** მამუკა თევზაძე (გლდანის რაიონი) 53,3; **800 მ.** გიორგი ივანოვი (1 მაისის რაიონი) — 2.04,0; **1500 მ.** თემურ გასანოვი (გლდანის რაიონი) — 4.20,0; **3000** მ. სერგო სერიკი (26 კომისრის რაიონი) — 10.23,7.

60 მ. თარჯრბენი. დავით ხუციშვილი (ლენინის რაიონი) — 8,9.

სიგრძეზე ხტომა. იგორ ვორონოვი — 7,11 მ. **სიმაღლეზე ხტომა.** ალექსანდრე არიშინი (საბურთალოს რაიონი) — 193 სმ; **სამხტომი.** გოგა წვიმაძე (1 მაისის რაიონი) — 12,51 მ. **ჭოკი.** ზურაბ ტუაევი (გლდანის რაიონი) — 4 მ. **ბირთვი.** ტეფნაძე (საბურთალოს რაიონი) — 12,67 მ.

გუნდური. 1. 26 კომისრის რაიონი — 316,2 ქულა. 2. გლდანის — 289,2; 3. საბურთალოს — 166; 4. ოქტომბრის — 125,8; 5. კალინინის — 109; 6. 1 მაისის — 89. 7. ლენინის — 79,5; 8. საქარხნო — 68; 9. კიროვის — 54; 10. ორჯონიკიძის— 45.

მიეძღვნა საბჭოთა არმიის დღეს

ხაბუმეს საშუალო სკოლის საროლეთზე ჩატარდა ჩხუროწყუს მოსწავლეთა სარაიონო პირველობა მცირე კალიბრიანი შაშხანის სროლაში. ასპარეზობა მიეძღვნა საბჭოთა არმიისა და ფლოტის დღეს. 61 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ხაბუმეს საშუალო სკოლის გუნდმა, მეორეზეა ზუმის საშუალო სკოლა, ხოლო მესამეზე — სარაქინის მოსწავლეთა ნაკრები.

პირად პირველობაში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ზუმის სკოლის მოსწავლეს ჯ. ჩიქოვანს.

ნუგზარ ევანია.

საპატიო მისია

„ლელომ“ ჩვენს მკითხველებს ახლახნს უკვე აუწყა, რომ მოსკოვში ჩატარებულ საჭადრაკო კომპოზიტორთა საანგარიშო-საარჩევნო პლენუმზე ცნობილი ქართველი ეტიუდისტი, დიდოსტატი გია ნადარეიშვილი სსრკ ჭადრაკის ფედერაციასთან არსებული საჭადრაკო კომპოზიციის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის მასთან საუბრის ფრაგმენტებს.

⊙ ბატონო გია, გულითადად გილოცავთ ამ საპატიო და მეტად სპასუხისმგებლო პოსტზე არჩევას. გთხოვთ, განგვიმარტოთ, თუ რა ფუნქციები აქვს დაკისრებული ცენტრალურ კომისიას?

— გმადლობთ! საჭადრაკო კომპოზიციის ცენტრალური კომისია, რომელიც საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციასთან 1930 წლიდან არსებობს, საზოგადოებრივი ორგანოა და ხელმძღვანელობს ამოცანა-ეტიუდების შემდგენლებსა და ამომხსნელებთან მუშაობას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, აწყობს საბჭოთა კავშირის პირად და გუნდურ პირველობებს, კომპოზიტორთა (პრობლემისტების და ეტიუდისტების) ტურნირებსა და მატჩებს, საერთაშორისო შეხვედრებს, მსხვილი საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის კონკურსებს კომპოზიციების შედგენასა და ამოხსნაში, ამოწმებს კომპოზიტორთა და მსაჯთა კვალიფიკაციას, იმუშავებს შეჯიბრებების წესებს, წარმართავს მოკავშირე რესპუბლიკების კომისიებთან თანამშრომლობას და კოორდინაციას, აქტიურად მონაწილეობს ფიდე-ს საჭადრაკო კომპოზიციის საერთაშორისო კომისიის მუშაობაში.

⊙ რას გვეტყვით საბჭოთა კომპოზიციის განვითარების დღევანდელ დონეზე?

— ჩვენი კომპოზიტორების დონე იზრდება ამ დარგის პოპულარობის ზრდასთან ერთად. დღეისათვის გვყავს 7 დიდოსტატი, 25 საერთაშორისო ოსტატი და 50-მდე სპორტის ოსტატი. უკანასკნელ პერიოდში ჩვენმა წარმომადგენლებმა საერთაშორისო სარბიელზე მრავალი შთამბეჭდავი წარმატება მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის III მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატებზე საბჭოთა გუნდმა პირველი ადგილები დაიკავა. მართალია, ჯერჯერობით მსოფლიოს პირადი პირველობები შედგენაში არ ტარდება და მათ პირობითად „ფიდეს ალბომები“ ცვლის. მაგრამ იქ აღრიცხული მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი საჭადრაკო კომპოზიტორები ორთოდოქსული საამოცანო ჟანრების მიხედვით მოწინავენი არიან. რაც შეეხება ჩვენს ეტიუდისტებს, მათი წარმატებები უფრო თვალსაჩინო და სტაბილურია. სწორედ ამ უკანასკნელმა ფაქტმა განაპირობა ამჟამად მიმდინარე დიდი და უმაგალითო მატჩის მოწყობა საბჭოთა და მსოფლიოს დანარჩენ ეტიუდისტებს შორის, რომელიც გაისად უნდა დამთავრდეს. კარსაა მომდგარი IV გუნდური მსოფლიო პირველობაც, რომლის ჩატარების პირობები ძალე გამოქვეყნდება საჭადრაკო პრესაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ტრადიციული გახდა საჭადრაკო კომპოზიციის ყოველწლიური საკავშირო ფესტივალი ოდესაში, რომელმაც უცხოელი კოლეგების ყურადღებაც მიიქცია. ალბათ მომავალში მას საერთაშორისო ფესტივალის სტატუსიც მიენიჭება. ამჟამად ჩვენში ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის ბევრი კონკურსი იმართება. დადგა დრო, რომ მათი ორგანიზაციის საყოველთაო-სავალდებულო წესები შემუშავდეს, ხოლო სპონსორების ვალდებულებებს და მოთხოვნებს რეალური ფინანსური და იურიდიული საფუძველი ჰქონდეს.

⊙ მოკლედ გაგვაცანით ცენტრალური კომისიის მომავალი გეგმები.

— პლენუმმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მათ შორის დავასახელებდი ამომხსნელებთან მუშაობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებულთაგან შექმნილი გუნდის გაგზავნას ინგლისში მომავალ XIII მსოფლიო გუნდურ და პირად პირველობებზე, აგრეთვე ამომხსნელთათვის სსრკ სპორტის ოსტატის წოდების შემოღებას. დასახვეწია კომპოზიციის კოდექსი და საკვალიფიკაციო ნორმებიც. პლენუმის გადაწყვეტილებით ამიერიდან ოსტატობის კანდიდატის სპორტულ თანრიგს საჭადრაკო კომპოზიციის რესპუბლიკური კომისია მიანიჭებს. იმედია, ეს გარემოება გარკვეულად შეუწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის პრობლემისტებისა და ეტიუდისტების შემოქმედებით გაჯტიურებას.

მეტად საჭირბოროტო საკითხია საკომპოზიციო ჟურნალის დაარსება, რისთვისაც ძალების დაძაბვა და დიდი მუშაობა დაგვჭირდება. ახლო მომავლის საქმეა აგრეთვე საჭადრაკო კომპიუტერების შიდნა, ურომლისოდაც ახლა ძნელია პაექრობა ტექნიკის ამ საოცრებით შეიარაღებულ უცხოელ კოლეგებთან.

⊙ როგორ აისახება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური გარდაქმნის პროცესები საჭადრაკო და, კერძოდ, საკომპოზიციო ხელოვნებაში?

— მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო საჭადრაკო ცხოვრება მეტად ინტენსიური და მრავალფეროვანი გახდა. მისი საინფორმაციო, ფინანსური და სპორტული შესაძლებლობები უჩვეულოდ გაიზარდა. განხილვის ფაზაშია სსრკ ჭადრაკის ფედერაციის ახალი წესდების პროექტი, რომელიც, სხვათა შორის, ჩვენი შემოქმედებითი გაერთიანების შექმნასაც ითვალისწინებს. პლენუმმა მოიწონა საჭადრაკო კომპოზიტორთა ასოციაციის შექმნის იდეა, რომელიც თავის რიგებში გაერთიანებს ამომხსნელთა მრავალათასიან არმიასაც. თვით კომისიის თავმჯდომარის, წევრების, მწვრთნელთა საბჭოს, მსაჯთა კოლეგიის არჩევნები დემოკრატიულ ვითარებასა და პრინციპული დისკუსიის პირობებში ჩატარდა. პლენუმმა კომისიის წევრებად აირჩია: ი. ვლადიმიროვი, ვ. კოპაევი (თავმჯდომარის მოადგილეები), ა. ლობუსოვი (მდივანი), ა. კალინინი, ა. გულიაევი, ო. პერეკაევი, კ. ოსიული (ყველა — მოსკოვი), გ. უმნოვი (რსფსრ), ი. როსომახო (ლენინგრადი), ვ. რუდენკო (მთავარი მწვრთნელი) და ი. გორდიენი (ორივე — უკრაინა), ვ. სიჩევი (ბელორუსია), ვ. ნეიძე (საქართველო), ა. კუზოკოვი (მოლდავეთი), ა. ვირტმანისი (ლატვია). მსაჯთა კოლეგიის ხელმძღვანელობა დაევალა ლენინგრადელ ლ. კაცენელსონს. კომისიაში არჩეული წევრები ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორები და გამოცდილი სპეციალისტები არიან. იმედი მაქვს, რომ თავს კარგად გაართმევენ მათზე დაკისრებულ საქმეებს. ვფიქრობ, მათი აქტიური დახმარებით კომისია ისე წარმართავს მუშაობას, რომ თავმჯდომარის თბილისში ცხოვრება ხელშემშლელ ფაქტორად არ იქცევა. ჩემის მხრივ, რასაკვირველია, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა კოლეგების ნდობა გავამართლო და შევასრულო დაკისრებული საპატიო მისია.



გია ნადარეიშვილი (მარცხნივ) და მიხეილ ბოტვინიკი.

საქართველოს სპორტსაჭრელში

კოლეგიის მორიგ სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის იყო ისეთები, რომლებიც სათავეს უდებს სიახლეებს ქართულ სპორტში. სამაგალითოდ ავიღოთ თუნდაც მძლეოსნობაში სპორტსახკომის რესპუბლიკური ექსპერიმენტული სპორტულ-მეთოდური საწარმოო გაერთიანების შექმნის საკითხი. ეს გახლავთ პირველი ცდა სპორტის ერთი სახეობის განვითარებისადმი სრულიად ახლებური მიდგომისა, გაერთიანების მიზანია დაამკვიდროს სპორტსმენთა შერჩევის, აღზრდა-დოსტატების, მეთოდური ხელმძღვანელობის, შეჯიბრებების ჩატარების, ყველა უბანზე გაწეული მუშაობის პასუხისმგებლობის ერთიანი სისტემა. გაერთიანება ხელმძღვანელობას, კოორდინაციას და კონტროლს განახორციელებს მძლეოსნობის უკლებლივ ყველა რგოლში, ყველა ნაკრებ გუნდში, ყველა ტიპის სპორტულ სკოლებში, მიუხედავად იმისა, რომელ უწყებას ეკუთვნიან ისინი. კოლეგიამ ახალშექმნილი გაერთიანების დირექტორად და სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობებისა და მძლეოსნობის განყოფილების უფროსად დაამტკიცა თ. მდინარაძე (ახალი გაერთიანების სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ ვრცელ მასალას ცალკე შემოგთავაზებთ).

წყალბურთში ტრადიციების აღორძინება-განმტკიცებისათვის ბოლო ხანებში, როგორც ცნობილია, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. ამჯერად კოლეგიაზე იმსჯელეს სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიური მომზადების ექსპერიმენტული ცენტრის შექმნის შესახებ. მაღალი კვალიფიციური სპორტსმენების მომზადების ეს ახალი კერა დაუყოვნებლივ, პირველი მარტიდან შეუდგება მუშაობას. ცენტრის უფროს მწვრთნელად კოლეგიამ დაამტკიცა გ. ჩიქვანაია.

როგორ ასრულებს უმაღლესი სპორტული დოსტატების № 1 რესპუბლიკური სკოლა დაკისრებულ ფუნქციას, როგორია მისი უკუგება? გაირკვა, რომ სკოლაში შესუსტებულია მომთხოვნელობა და კონტროლი. ფორმალური ხასიათისაა სასწავლო-სპორტული პროცესის დაგეგმვა, მეთოდისტები არ ამოწმებენ სპორტსმენთა ინდივიდუალური გეგმების შესრულებას. არაა მწვრთნელთა მუშაობის შეფასების სისტემა, გაუმართლებელია ცალკეულ რეგიონებში სკოლის ჯგუფების გახსნა, რადგან ეს ჯგუფები მხოლოდ მწვრთნელთა და კონსულტანტთა დამატებითი შემოსავლის წყაროდ იქცა. სკოლაში დანერგილი სპორტის ექვსი სახეობიდან, ოთხში აღინიშნება ძალზე დაბალი შედეგები. 1985 წლის შემდეგ სკოლას ხელბურთში არ მოუმზადებია არც ერთი სპორტის ოსტატი, გუნდმა კი დატოვა უმაღლესი ლიგა. 1986 წლიდან არ სრულდება ბიდვინტონში ხეოლტის ოსტატის მოსამზადების გეგმა. სპორტულ თამაშებში უპერსპექტივოდ ითვლებიან ქალთა გუნდები.

კოლეგიამ სკოლის მუშაობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მოისმინეს ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის დ. ფრუიძის ინფორმაცია „ქუთაისის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მიერ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დ. მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 7 აპრილის № 178 დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის თაობაზე“. დადგენილება ეხება ძირითადი საკავშირო ასპარეზობებისა და ბარსელონის ოლიმპიადისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისა და სპორტსმენების უკეთ მომზადების საკითხს. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ქუთაისში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად. საგრძნობლად და მიზანმიმართულად გააქტიურა მუშაობა ქალაქის სპორტკომიტეტმა. ამასთან, ხაზი გაუსვა ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

კოლეგიამ განიხილა მცხეთის რაიონში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის საკითხი. გამოირკვა, რომ რაიონში საერთოდ ხელმიშვებულია ამ მიმართებით მუშაობა. გაოცებას და აღშფოთებას იწვევს ის, რომ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს სანაჩობნო ბაზაზე გადაუხვიეს სპორტულ და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გეზს, ყურადღება გადაიტანეს არამაპროფილებელ ფასიან მომსახურებაზე (მაგალითად, კერძო ავტომანქანების შეკეთება და ა. შ.). კოლეგიამ საგანგებო კომისია გამოყო ამ უპრეცედენტო შემთხვევის საფუძვლიანად შესასწავლად და კონკრეტულ დამნაშავეთა გამოსავლენად. შედეგებს გაცნობებთ.

ფრისტაილი — სპორტის ეს ახალი სახეობა წარმატებით ინერგება ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საბჭოთა კავშირში. ორი წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაშიც გადაიდგა პირველი ნაბიჯები, მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა. კოლეგიამ მკაცრად იმსჯელა ამ საკითხზე, არასრულფასოვნად ჩათვალა გულგრილობის მიზეზებიდან გამოტანილი დასკვნები. აღნიშნულ საკითხს კოლეგია ახლო მომავალში კვლავ დაუბრუნდება.

კოლეგიის ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები და დაამტკიცეს ნომენკლატურული მუშაკები.

„დინამოს“ საფეხბურთო კლუბი მუშაობას შეუდგა

რედაქციაში შემოსულ ფეხბურთის გულშემატკივართა წერილებში დასმულ საკითხებზე გვპასუხობს „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის პასუხისმგებელი მდივანი **ვალერი ჩოლარია.**

⊙ დავიწყოთ იმით, რომ ბევრს აინტერესებს, როგორი იქნება საფეხბურთო კლუბის ემბლემა და სამკერდე ნიშანი, გამოცხადდება თუ არა შესაბამისი კონკურსი?

— დამეთანხმებით, რომ კლუბის ემბლემის და სამკერდე ნიშნის დამზადება ძალზე საპასუხისმგებლო საქმეა. აქ აუცილებელი დახმარება უნდა გაგვიწიონ სპეციალისტებმა, განსაკუთრებით მხატვრებმა. კლუბმა უკვე გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს და არა მხოლოდ მხატვრებს. იდეა შეიძლება ყველამ მოგვაწოდოს.

⊙ კი, მაგრამ დრო გადის, გულშემატკივრები თქვენგან მოელიან დანაპირებ კლუბის წევრობის მოწმობას და სამკერდე ნიშანს.

— ყველა კლუბის წევრი დაუყოვნებლივ მიიღებს დროებით მოწმობას, შემდეგ კი, როცა სამკერდე ნიშნები დამზადდება, დროებით საბუთს მუდმივით შევცვლით და გადავცემთ სამკერდე ნიშანთან ერთად.

⊙ კონკრეტულად როდის და სად შეიძლება დროებითი მოწმობის მიღება?

— თბილისელთათვის 27 თებერვალს — 10-დან 21 საათამდე „დინამოს“ სტადიონის გულშემატკივართა ოთახში.

⊙ რა უპირატესობას აძლევს ეს ბილეთი კლუბის წევრს?

— დროებითი ბილეთი კლუბის წევრებს უპირატესობას ანიჭებს 1989 წლის საფეხბურთო სეზონის აბონემენტის შეძენაში. აბონემენტები 1 მარტიდან გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

⊙ რაიონებში მცხოვრებ კლუბის წევრებზე რას იტყვით?

— ისინი დროებით ბილეთს მიიღებენ იმ მისამართზე, რომელიც მათ თავად გვაცნობეს საწევრო თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის გამოგზავნის დროს. მათთვის ყოველ მატჩზე „დინამოს“ სტადიონზე 12 საათამდე იქნება დაჯავშნული ბილეთები.

მინდა აქვე კიდევ ერთხელ შევახსენო ჩვენს გულშემატკივრებს კლუბის ანგარიშის ნომერი — 000700974. გაწევრიანება შეიძლება ბინსოცბანკის ნებისმიერ განყოფილებაში ან შემნახველ სალაროში. ქვითარი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი — 380059, დიღმის მასივი, III კვარტალი. „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი.

შ. შავგულიძის თასზე

დაიწყო სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის თასის გათამაშება ფეხბურთში საკავშირო პირველობაში მონაწილე რესპუბლიკის II ლიგის გუნდებს შორის. გაიმართა ორი შეხვედრა: „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) 1:1, „ლოკომოტივი“-ომც — „დილა“ (გორი) 1:1.

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია! გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ ვინ იყვნენ სამხრეთ ამერიკის №1 ფეხბურთელები ბოლო ათწლეულში. ვფიქრობთ, ეს ნებისმიერი ფეხბურთის მოყვარულისთვის საინტერესო იქნება.

ვალერი კურტანიძე,
ხარაგაულის რაიონი, სოფელი წხერი.

სამხრეთ ამერიკის №1 ფეხბურთელები იყვნენ: 1971 წელს ტოსტაო (ბრაზილია), 1972 წ. კუბილასი (პერუ), 1973 წ. პელე (ბრაზილია), 1974-75-76 წ. ფიგეროა (ჩილე), 1977 წ. ზიკო (ბრაზილია), 1978 წ. �პესი (არგენტინა), 1979-80 წ. მარადონა (არგენტინა). 1981-82 წ. ზიკო (ბრაზილია), 1983 წ. სოკრატესი (ბრაზილია), 1984 წ. ფრანჩესკოლი (ურუგვაი), 1985 წ. რიმერო (პარაგვაი), 1986 წ. ალსამანდი (ურუგვაი), 1987 წ. ვალდერამი (კოლუმბია), 1988 წლის სამხრეთ ამერიკის კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად ურუგვაელი რუბენ ვალტერ პას მარკესი დაასახელეს.

ინფორმაცია

„კიკერის“ (ბზრ) გამოკითხვით ბუნდესლიგაში . ახლა მსოფლიო კლასის მხოლოდ 4 ფეხბურთელი გამოდის: მცველი კოლერი დანიელ მარკესკენი ჰასლერი (ორივე — „კიოლნი“), „ვერდერის“ ნორვეგიელი მცველი ბრატსეტი და თავდასხმელი კლინსმანი („შტუტგარტი“).

„ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტი გუდაურში

დიდი ასპარეზობის მოლოდინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც შესანიშნავი საჩუქარია უცხოეთის ფირმების დამზარებით აგებული სასტუმრო „გუდაური“. ათვალიერებ ამ უნიკალურ ნაგებობას, რომელსაც ბადალი არ დაეძებნება მთელს საბჭოთა კავშირში და გული სიამაყით გევსება. საძინებელი ნომრების გარდა, რა აღარაა მის კედლებში — კვების ბლოკი, ბარი, მაღაზიები, მათ შორის ეროვნული ნაწარმისა, ჩოგბურთის კორტები, საცურაო აუზი, საუნა, კეგელბარი...



ამ შენობაში, როგორც ვიუწყებოდით, ქალთა შორის სამთოსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი იცხოვრებენ. აქვე მოეწყობა პრესცენტრი, სასტუმროს ხელმძღვანელობა უურნალისტებს სამუშაო ოთახის გარდა დაუთმობს ტელეტაიპს. ერთი სიტყვით, აქ, როგორც იტყვიან, ყველა პრობლემა მოხსნილია.

როგორი მდგომარეობაა სხვაგან? გადაწყდა — უურნალისტები იცხოვრებენ სასტუმრო „ბილარაში“, მათ განკარგულებაში იქნება ავტობუსი. გვარდება საზოგადოებრივი კვების საქმე, ძირითადად საამისოდ გამოყოფილია კაფე „ტურისტი“. 26 თებერვლიდან გუდაურში ხალხს მოემსახურება ორი ხასურსათო ავტომაღაზია, შეჯიბრების დღეებში კი ავტომაღაზიების რიცხვი გაიზრდება ექვსამდე. გამოჩნდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებიც. ამ საქმეს უხელმძღვანელებს მილიციის პოდპოლკოვნიკი, ყოფილი სპორტსმენი ვაჟა ტაბატაძე. გაიწმინდა გზები. მიიღეს თოვლის სატკეპნი მანქანა, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

სამწუხაროდ, გუდაურში დღემდე არ არის არც ერთი მუდმივმოქმედი სავაჭრო წერტი, ეს ეხება როგორც სასურსათო, ისე სამეურნეო მაღაზიებს. არადა, აქ, დამსვენებლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხალხი ცხოვრობს და მუშაობს. საკვირველია, რატომ არ აქცევს ყოველივე ამას უურადღებას უაზბეგის რაიონის ხელმძღვანელობა, როდემდე შეიძლება იყვნენ ხსვის მომლოდინედ?

გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა მომავალი დიდი ასპარეზობის დღეებში ზეთზე მომუშავე ელექტრორადიატორებით ზოგიერთი ობიექტების უზრუნველყოფა. გათბობის ეს ხელსაწყო არსად აღმოჩნდა და ახლა, აქ, მის ნაცვლად ელექტროგათბობის სხვა საშუალებებს გამოიყენებენ.

დგება სტუმრების ჩამოსვლის დრო. მოგვარებულია თბილისის აეროპორტიდან შეჯიბრების ადგილამდე მათი გადაყვანის საკითხი.

გუდაური დიდი და პრესტიჟული ასპარეზობის მოლოდინშია.

• • •

სურათებზე: სასტუმრო „გუდაურის“ შესასვლელთან; სასტუმროს ბარი; კეგელბარი.

თორნიკე ბაქრაძის ფოტოები.

უშიშარი დებიუტანტი

(დასასრული)

ყოველ შემთხვევაში ერთხანს დგებუაძე ჩვეული რიტმიდან ამოვარდნილი გვეჩვენა, მაგრამ იგი თუ ორმე ხელსაყრელ მომენტს ელოდა და იგი დადგა კიდეც მეოთხე წუთის დასაწყისში. ლეიბის კიდესთან უნაკლოდ შესრულებულმა „შუაკაურმა“ წერტილი დაუსვა ამ ლამაზ ორთაბრძოლას.

ეს, რაც შეეხება, წმინდა გამარჯვებებს. მაგრამ მესამე წრეში ქართველმა ფალავანმა ერთი შეხვედრა ქულებით მოიგო, შსოფლიოს ექსჩემპიონ იური სოკოლოვთან. აქ, ამ ბრძოლაში, დგებუაძემ საღი ტაქტიკური აზროვნების უნარი გამოამჟღავნა. ორი იუკო და ერთი კოკა ახალგაზრდა ძიუდოისტის აშკარა უპირატესობაზე მიგვანიშნებს. ამ შეხვედრის მოგება, ალბათ, წმინდადაც შეიძლებოდა, მაგრამ სოკოლოვს თვალი თავისი გამოცდილების მობილიზება დასჭირდა, რომ დებიუტანტთან ბრძოლა სამარცხვინოდ არ წაეგო. ამ შემთხვევაში ექსჩემპიონმა მიზანს მიაღწია.

საქართველოს ძიუდოისტთა გუნდს შეორე ოქროს მედალი გორელმა ენგურ გოგიჩაშვილმა მოუტანა (78 კგ წონითი კატეგორია). და უნდა ითქვას, რომ ქართველი ფალავნის უპირატესობა აქაც აშკარა იყო.

პირველ შეხვედრაში აჰმად ჩახკიევთან ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, შესრულებულმა ვაზარმა გადაწყვიტა. ვაზარი ძიუდოში უმაღლესი შეფასებაა წმინდა გამარჯვების (იპონი) შემდეგ და იგი სპორტსმენის დიდ შეასაძლებლობებზე შეტყველებს. მეორე წრეში გოგიჩაშვილს ალექსანდრე კუხარენკოს სახით ფიზიკურად ძლიერი მეტოქე ჰყავდა. ამიტომაც მან გონივრულად დაზოგა ძალები და კოკათი გამარჯვებას დასჯერდა.

სამაგიეროდ, მომდევნო ორ ბრძოლაში მთლიანად გამოავლინა ის, რაც შეეძლო: ოლეგ რატიანთან სრულფასოვანი იუკოთი გაიმარჯვა, მაკარ თვალაძეს კი წმინდად აჯობა და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვა. აქ მისი მეტოქე ქარელელი ბესიკ ქოქოევი გახლდათ, საკმაოდ ძლიერი მოჭიდავე, რომელმაც ჯგუფური ტურნირი წარმატებით გაიარა და ყველა შეხვედრა მოიგო.

ტურნირის პრიზიორები



ბესიკ ქოქოევი



თამაზ ჭელიძე

ენგურ გოგიჩაშვილი გამოცდილი სატურნირო მებრძოლია და ეს მას გარკვეულ უპირატესობას აძლევდა გადამწყვეტ შეხვედრაში. ძლიერ მეტოქეს ქოქოევი არ შეუშინდა და თამამად შეუტია, მაგრამ წუთნახევრის შემდეგ ხალიჩაზე ბეჭებით გაკრული აღმოჩნდა. ამ მარცხის მიუხედავად ქარელელი მოჭიდავე ქებასა და კეთილ სიტყვებს იმსახურებს.

ამ წონაში საქართველოს გუნდსო ტურნირზე მედლების კიდევ ორი კომპლექტი გათამაშდა. 60 კგ. 1. იგორ ეუჩკოვი (სსრ კავშირი), 2. ბადრი ბახილაშვილი, 3. რობერტ ლომთათაძე და ჯამბულ მასურაშვილი (ყველა — საქართველო); 65 კგ. 1. გურამ მოდებაძე (საქართველო), 2. ანდრეი იუშინი, 3. უბარ ბოლტიევი (ორივე — სსრ კავშირი) და არსენ აზალაძე (საქართველო).

კარგ სამსახურს გაუწევს

ცოტა დროა დარჩა ჟურნალ „სმენას“ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დაწყებამდე, რომელშიაც მონაწილეობენ 1972-73 წლებში დაბადებული ჭაბუკი ფეხბურთელები. საინტერესო ასპარეზობას, როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, დასავლეთ საქართველოს ოთხი ქალაქი მასპინძლობს: სამტრედია, ვანი, ხობი და ცხაკაია. შეგახსენებთ ტურნირში მონაწილე გუნდების ვინაობას ქვეჯგუფების მიხედვით. „ა“ **ჯგუფი:** უკრაინა, სსრკ-I, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, თურქეთი, „ბ“ **ჯგუფი:** სსრკ-II, საქართველო, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი. გუნდებმა დიდი ხანია დაიწყეს შეჯიბრებისათვის მზადება. ჩვენს მკითხველს, ალბათ, ყველაზე უფრო აინტერესებს თუ რა გუნდით წარდგება საქართველოს ნაკრები ამ პრესტიჟულ ტურნირში.

საქართველოს ნაკრები რამდენიმე დღეა ხობში გადის საწვრთნელ შეკრებას. გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. ამირეჯიბმა და მწვრთნელმა ვ. მელაშვილმა შეკრებაზე მიიწვია შემდეგი ფეხბურთელები: დ. ჯანელიძე, ზ. პაპიძე, გ. ასპანიძელაშვილი, გ. სილაგაძე, კ. ნინუა, გ. ქორიძე. ზ. ქოიავა, გ. დევდარიანი (ყველა — თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა), რ. თიგიშვილი, კ. კვანტალიანი, ლ. მჭედლიშვილი, გ. ცერცვაძე, გ. ანჩაბაძე, ვ. ჭყონიძე (თბილისის „ნორჩი დინამოელი“), დ. ჯანაშია, ა. გუბელაძე, ლ. ფესტვენიძე (ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილება), ზ. ნასუაშვილი (ცხინვალის სპორტული სკოლა), დ. კაკუბავა (ოჩამჩირის სპორტული სკოლა), ბ. დოლბაია (ხობის სპორტული სკოლა), ა. კუნჭულია (ლანჩხუთის „გურია“). საქართველოს ნაკრები აქვე, ხობში დაბანაკდება და აქედან ივლის თამაშებზე.

საბჭოთა კავშირის I ნაკრები (მწვრთნელი ა. კუზნეცოვი) 22 თებერვალს ჩამოვიდა ჩვენს რესპუბლიკაში და აქ განაგრძობს ტურნირისათვის მზადებას. 26 თებერვალს მზადების პროგრამით I ნაკრებს სამტრედიაში დაგეგმილი აქვს ამხანაგური შეხვედრა ადგილობრივ „ლოკომოტივთან“.

მკითხველისთვის ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება მსაჯების ვინაობა, რომლებიც ტურნირს მოემსახურებიან: ალექსანდროვი, ზიკოვი, მელნიჩუკი, ილიაკოვი, კაფაჯი, დექტიარევი, სერგიენკო, სტუპარი, ლისენკო, გომანი, სულეიმანოვი, პივოვაროვი, ლიხოლაი, მალიკოვი, შაგინიანი, ოვსეფიანი და ტერენტიევი.

ტურნირზე დასასწრებლად სურვილი ბევრი ქვეყნის ცნობილმა სპეციალისტმა გამოთქვა, მათ შორის არის საფრანგეთის საფეხბურთო კლუბ „ტულონის“ პრეზიდენტი რევერა.

გაგაცნობთ შეჯიბრების პირველი დღის გათამაშების კალენდარს.

1 მარტი. ოთხშაბათი. **სამტრედია.** სსრკ I — თურქეთი. 15 ს. 30 წთ.-. **ვანი.** ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი. 11 ს. 30 წთ.. **ცხაკაია.** საქართველო — უნგრეთი. 11 სთ. 30 წთ., **ხობი.** რუმინეთი — ბულგარეთი. 11 ს. 30 წთ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა მახლობელი რაიონების ნორჩი ფეხბურთელების დასწრება ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე. იმედი გვაქვს, მწვრთნელები გამოიჩენენ სათანადო ინიციატივას, რითაც თავიანთი კვალიფიკაციის გაღრმავებასაც შეუწყობენ ხელს.

ზაზა კახაძე.

ცსკა გამოეთიშა ბრძოლას

ბაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი მატჩები. მოსკოვის ცსკა-მ „ბარსელონასთან“ მარცხის შემდეგ — 73:78 (36:40) პრაქტიკულად დაკარგა ფინალურ ტურნირში გასვლის შანსი.

ამ ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ლიმოჟი“ (საფრანგეთი) — „სკავოლინი“ (იტალია) 92:84 (45:46), „მაკაბი“ (ისრაელი) —„არისი“ (საბერძნეთი) 102:90 (52:46), „ნაშუა დენ ბოში“ (ჰოლანდია) — „იუგოპლასტიკა“ (იუგოსლავია) 83:88 (43:45).

ბარსელონა

„ბარსელონა“	10	9	1	19
„მაკაბი“	10	8	2	18
„იუგოპლასტიკა“	10	6	4	16
„არისი“	10	5	5	15
„სკავოლინი“	10	4	6	14
„ლიმოჟი“	10	3	7	13
ცსკა	10	3	7	13
„ნაშუა დენ ბოში“	10	1	9	11

კვირიდან კვირამდე

„პრავდა“ — 20 თებერვალი. „გამარჯვების ფსიქოლოგია“. სპორტული ფსიქოლოგია — რა მეთოდებით სარგებლობს მეცნიერების ეს დარგი, როგორია გამოკვლევების შედეგები? მაგალითები სპორტული ცხოვრებიდან. **25 თებერვალი.** „ნხლ-ის კლუბები ჩვენთან მოდიან“. პროფესიონალი ჰოკეისტების ორი გუნდი: „კალგარი ფლეიმზი“ და „ვაშინგტონ კეპიტალზი“ ტურნეს ჩაატარებენ საბჭოთა კავშირში.

„იზვესტია“ — 19 თებერვალი. „ინგლისური ფეხბურთის საიდუმლოებანი“. ინტერვიუ კიეველ ფეხბურთელ სერგეი ბალტაჩასთან, რომელიც ამჟამად ინგლისის საკლუბო გუნდ „იფსვიჩ თაუნში“ თამაშობს.

21 თებერვალი. „იაშინი კვლავ ეპატიჟება მსოფლიოს ნაკრებს“. მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე, 10 აგვისტოს, ერთშანეთს შეხვდებიან მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები და „დინამო“ (სსრკ).

„სოვეტსკი სპორტი“ — 21 თებერვალი. „პრესტიჟი და კომერცია“. ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირებში მონაწილეობას, გარდა სპორტულისა, სხვა მნიშვნელობაც ენიჭება — პრესტიჟი და კომერცია.

22 თებერვალი. „გოლების, ქულების, წამების „ცისფერ ნისლში“. რა შედეგები მოგვცა სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა?

25 თებერვალი. „დოპინგი ექსპორტზე?“. ამ ისტორიაში არც სროლაა და არც სისხლი, მაგრამ არიან ბოროტმოქმედნი და არის მსხვერპლი...

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“. — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10875

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.